ზამთრის
სეზონის საბურავები
„Winter”

ზამთრის სეზონისათვის განკუთვნილი საბურავების გამოყენება სავალდებულოა +7ºC და ნაკლებ ტემპერატურაზე. ზამთრის პერიოდისათვის გამოიყენება საბურავები, როგორც ზამთრის აღმნიშვნელი მარკირებით, ასევე M+S მარკირებით.

ევროპის ქვეყნებში (ბულგარეთი, ხორვატია,ჩეხეთი,გერმანია,ჰოლანდია,რუმინეთი,სერბეთი,საფრანგეთი და სხვა) 15 ნოემბრის შემდეგ ავტომანქანების მფლობელებისათვის სავალდებულოა გადაადგილდნენ ზამთრის სეზონის საბურავებით.

საბურავები ზამთრის მარკირებით

Snow tyre - თოვლის საბურავი, უპირველესყოვლისა ნიშნავს ისეთ საბურავს, რომლის პროტექტორი და სტრუქტურა შემქნილია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს უკეთესი გადაადგილება მშრალ თოვლიანობისა და თოვლის დნობის პირობებში.

საბუარევები M+S მარკირებით



ევროპის ეკონომიკური კომისიის №30 რეგულაციის შესაბამისად, M+S ტიპის საბურავი არის ზამთრის საბურავი და მისი გამოყენება რეკომენდირებულია ზამთარში. საყურადღებოა, რომ **M+S ტიპის საბურავი არ ნიშნავს ყველა სეზონის საბურავს.**

„M + S“ საბურავები შექმნილია სპეციალურად, რათა გააუმჯობესოს ავტომანქანის გადაადგილება ტალახში, მშრალი თოვლისა და თოვლის დნობის პირობებში. „M + S“ საბურავების პროტექტორი ხასიათდება ღრმა ღარებით (რომელიც უზრუნველყოფს ტალახში გადაადგილებას) და ე.წ. „ბლოკებით“ (რომელიც აადვილებს თოვლისა და ყინულის პირობებში გადაადგილებას). M+S ტიპის საბურავი შესაძლებელია (მაგრამ არ არის რეკომენდირებული) ასევე გამოიყენებოდეს ზაფხული პერიოდში, რადგან მაღალი ტემპერატურის პირობებში (+7 გრადუსი და მეტი) იგი ხასიათდება არადამაკმაყოფილებელი მოჭიდებითა და მაღალი ცვეთით.

ზაფხულის
სეზონის საბურავი
„Summer“

ზაფხულის სეზონისათვის განკუთვნილი საბურავების გამოყენება რეკომენდირებულია +7°C და მეტი ტემპერატურის პირობებში.

ზაფხულის საბურავი

ზაფხულის საბურავები გამორჩეულია მოკლე სამუხრუჭე მანძილით, მაღალი რეაგირების კოეფიციენტით, მაღალი მანევრირების სიზუსტით და იდეალური მოჭიდებით მოსახვევებში. აღნიშნულ უპირატესობებს ზაფხულის საბურავი ინარჩუნებს დიდი სიჩქარის პირობებშიც. ზაფხულის საბურავის პროტექტორი ისეთი ფორმისაა, რომ იგი უზრუნველყოფს სავალი ნაწილის რაც შეიძლება დიდ ფართობზე მოჭიდებას, რაც თავის მხრივ, აუმჯობესებს აჩქარებას, უზრუნველყოფს უსაფრთხოებასა და მანევრირებად სვლას.

ყველა სეზონის საბურავები

„All Seasons A/S“

ყველა სეზონის საბურავის გამოყენება დასაშვებია -5°C და მეტი ტემპერატურის პირობებში

ყველა სეზონის საბურავის გამოყენება რეკომენდირებულია „ზომიერ“ კლიმატურ პირობებში, სადაც არ არის მკაცრი კლიმატი, ვინაიდან მაღალი ტემპერატურის პირობებში ყველა სეზონის საბურავი გამოირჩევა მომეტებული ცვეთით და დაბალი მოჭიდებით, ხოლო მკაცრი ზამთრის პირობებში იგი ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას. ევროპის ეკონომიკური კომისიის №30 რეგულაციის შესაბამისად, ვროპაში, ზამთრის სეზონში ე.წ. ALL SEASON (ყველა სეზონის) საბურავით გადაადგილება იკრძალება.

სპეციალიზირებული საბურავები

საბურავი

„M/T-ტალახის“

პროტექტორით

ტალახის საბურავი გამოირჩევა პროტექტორით, რომლის დიდი ბლოკები და ბლოკთაშორისი ღარები უზრუნველყოფს გადაადგილებას ღრმა ტალახის პიობებში. ტალახის საბურავი ასევე შესაძლებელია დამატებით გათვლილი იყოს ზამთრის სეზონისათვის და საბურავს გააჩნდეს M+S მარკირება, რაც უზრუნველყოფს ყინულსა და ღრმა თოვლის პირობებში გაუმჯობესებულ გადაადგილებას.

საბურავი

„A/T-უგზოობის“

პროტექტორით

უგზოობის საბურავი გამოირჩევა ისეთი პროტექტორით, რომელიც უზრუნველყოფს გადაადგილებას უგზოობის პირობებში (ე.წ. OFF ROAD). საბურავი შექმნილია ისე, რომ იგი უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოჭიდებას ისეთ ექსტრემალურ პირობებში, როგორიცაა ქვა-ღორღი, კლდე, ქვიშა, ტალახი, თოვლი და სხვა.